Henkel

როლური მოდელები მომავალი თაობებისათვის

ჩვენი კორპორატიული ქცევის კოდექსი

ჩვენი კორპორატიული ქცევის კოდექსის გაცნობა

„ჰენკელი“ - ეს არის 53000 თანამშრომლისაგან შემდგარი მრავალფეროვანი და მულტიკულტურული გუნდი, მცხოვრები მთელს მსოფლიოში.
ერთად ჩვენ ვამდიდრებთ და ვაუმჯობესებთ მილიარდობით ადამიანის ცხოვრებას ჩვენი პროდუქტებით, სერვისებითა და გადაწყვეტილებებით. ჩვენ უზარმაზარ გავლენას ვახდენთ ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროზე, და ამიტომ, ის რასაც ჩვენ ვაკეთებთ, და რაც უფრო მთავარია, როგორ ვაკეთებთ ამას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

ჩვენ ვართ კომპანია მორალური პრინციპებითა და მაღალი ეთიკური სტანდარტებით, და მათი დაცვა თამაშობს და ყოველთვის ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ჩვენს მსოფლმხედველობასა და საქმიან პრაქტიკაში.სწორედ ამიტომ ჩვენი კორპორატიული ქცევის კოდექსს გააჩნია ასეთი დიდი მნიშვნელობა. ის წარმოადგენს კომპასს ჩვენს ქმედებებსა და საქციელში და გვეხმარება რთულ სიტუაციაში ორიენტირებისას, სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში და მთელს მსოფლიოში უმწიკვლო რეპუტაციის შენარჩუნებაში, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ თაობების მანძილზე ჩვენს მომხმარებლებს, პარტნიორებსა და საზოგადოებებს შორის, რომლებშიც ჩვენ ვმოქმედებთ.
კორპორატიული ქცევის კოდექსი - არის ჩვენი ბიზნესის მართვის საფუძველი.

ჩვენი მიზანი - “პირველადმომჩენები გულის ძახილით მომავალი თაობების საკეთილდღეოდ“ - ხაზს უსვამს ამ პრინციპებს. თითოეულ ქვეყანაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ყველა ქვედანაყოფსა და სამსახურში ჩვენ ვმართავთ ბიზნესს ეთიკურად და პატიოსნად. პირველადმომჩენთა სული და ეთიკური ნორმების დაცვა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ისინი ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან.

საბოლოოდ, ჩვენი საოჯახო ბიზნესის ტრადიციის შესაბამისად, ჩვენ გადავცემთ ჩვენს ფასეულობებს თაობიდან თაობას. ერთი თაობა მაგალითს იღებს წინა თაობისაგან და წარმოადგენს როლურ მოდელს შემდგომი თაობისათვის, იმ ფასეულობის დაცვით, რომელმაც ჩვენ მოგვიტანა წარმატება და უნიკალურობა მსოფლიოს მასშტაბით. ჩვენი ამოცანაა - ვიყოთ როლური მოდელი და ყოველთვის ვიფიქროთ იმათზე, ვისზეც ჩვენი ქმედებები და მოქცევა იქონიებს ყველაზ დიდ გავლენას: მომავალ თაობებზე.

გისურვებთ საუკეთესოს,

Simone
სიმონ

Carsten
ქარსტენი

2022 წლის თებერვალი

შინაარსი

1. ჩვენი ქცევის კოდექსის გაცნობა

2. რას ნიშნავს ჩვენთვის **საქმიანი ეთიკა** 4

3. **ქმედებები და მოქცევა** მომავალი თაობების საკეთილდღეოდ 6

3.1 ჩვენი გუნდი **7**
საპატიო ქცევა 8
ჩვენი რეპუტაცია 9
ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე 10

3.2 ჩვენი კომპანია **11**
კომპანიის აქტივები 12
ფინანსური მთლიანობა 13
ინტერესთა კონფლიქტი 14

3.3 ჩვენი კლიენტები, მომხმარებლები და მომწოდებლები **15**
სამართლიანი კონკურენცია და ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ 16
პროდუქციის უსაფრთხოება და ხარისხი 17
ციფრული უსაფრთხოება და ეთიკა 18

3.4 ჩვენი საზოგადოება **19**
ადამიანის უფლებები, სხვა კანონები და სოციალური ნორმები 20
ეკოლოგიური მდგრადობა 21
საზოგადოების ჩართულობა 22

4. თითოეულის წვლილი 24

5. წინ ერთადს 26

რას წარმოადგენს ჩვენთვის საქმიანი ეთიკა

როდესაც მილიონობით ადამიანს ყოველდღიურად ხელში უჭირავს ჩვენი პროდუქტები, ისინი ეხებიან ჩვენს ფასეულობებსა და პრინციპებს. ეს გვაძლევს ჩვენ დიდ შესაძლებლობებს, მაგრამ ასევე გვაკისრებს სერიოზულ პასუხისმგებლობას.

ამ გზაზე ჩვენ გვატარებს ჩვენი მტკიცე მემკვიდრეობა და პირველადმომჩენთა სული, ისინი უზრუნველყოფენ კავშირების, მეგობრული ურთიერთობების, ერთმანეთზე გულწრფელი ზრუნვის განვითარებას, აძლიერებენ ადამიანების მიმართ მზრუნველობითი დამოკიდებულების ტრადიციებს.

ჩვენს გულებში ჩანერგილია ერთიანობის გრძნობა, ეს გახლავთ ჩვენი მრავალფეროვანი გუნდის საფუძველი. საერთო კოლექტიური განწყობა საქმიანი ეთიკის შესანარჩუნებლად, საშუალებას გვაძლევს სრულად გამოვიყენოთ „ჰენკელის“ ერთობლივი ძალა, რათა დავამყაროთ საჭირო ბალანსი ნოვატორობასა და ინიციატურობას ერთის მხრივ, და საოჯახო ტრადიციასა და პასუხისმგებლობას შორის, მეორეს მხრივ.

მაღალი ეთიკური სტანდარტები, რომლებიც ჩვენს თავს დავუსვით, საშუალებას გვაძლევს ეფექტურად ვემსახუროთ „ჰენკელისა“ და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს, ვიყოთ ლიდერები მდგრადი განვითარების გზაზე და **მომავალი თაობებისათვის ბრწყინვალე როლური მოდელების შექმნით.**

როგორ გვეხმარება

საქმიანი ეთიკა

ჩვენი მიზნის

მიღწევაში

როგორ ვიქცევით და ვმოქმედებთ, როგორც როლური მოდელები, რათა ცხოვრებაში განვასახიეროთ ჩვენი ფასეულობები და ლიდერული თვისებები და მივაღწიოთ ჩვენს მიზნებს.

ქმედებები და ქცევები მომავალი თაობების სასარგებლოდ

როგორ გამოიყურება როლური მოდელი, როდესმე გინახავთ?

ჩვენი გუნდი

მრავალფეროვანი კულტურის, თანასწორობისა და ინკლუზიურობის, გუნდური მუშაობისა და ოჯახური სულის ფორმირება - ეს არის ჩვენი წარმატების ქვაკუთხედი. მხოლოდ ხელსაყრელ, ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოში ჩვენი თანამშრომლები შეძლებენ სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. ეს არის ჩვენი მსოფლმხედველობა, რომელიც გვსურს დავიცვათ და განვახორციელოთ არა მხოლოდ „ჰენკელში“, არამედ საზოგადოებაშიც, რათა ვიყოთ როლური მოდელები მომავალი თაობებისათვის.

მიყვარს მეგოვრებთან თამაში. ზოგჯეს სხვადასხვა სისულელეებს სჩავდივართ. მაგრამ მე მათ არასოდეს ვაწყენინებ, ვინაიდან მიყვარს ისინი.

საპატიო ქცევა

ერთიანი მრავალფეროვანი და მულტიკულტურული გუნდი – ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა. სწორედ ამიტომ ვიზიდავთ და მხარს ვუჭერთ ნიჭს, ვქმნით სივრცეს ინოვაციური იდეების გასაცვლელად. ყოველივე ეს გვეხმარება გავუგოთ პარტნიორებს და მომხმარებლებს და წვლილი შევიტანოთ მეტად პატიოსანი და ღია სამყაროს შექმნაში. ჩვენთვის მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა გულისხმობს ჩვენი განსხვავებულობების მიღებაში, ერთმანეთისადმი ნდობაში და როგორც ერთი გუნდი ერთად მუშაობაში.

ჩვენ ყოველთვის ღირსეულად და პატივისცემით ვეპყრობით ერთმანეთსა და ყველა ადამიანს. **ჩვენთვის მიუღებელია რაიმე ფორმის შევიწროვება, დაშინება ან დისკრიმინაცია,** რასის, კანის ფერის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, რელიგიის, პოლიტიკური მიმდევრობის, პროფკავშირის წევრობის, ინვალიდობის, ეროვნების, სოციალური წარმომავლობის ან ასაკის (სია არ არის ამომწურავი) მიხედვით.

ჩვენი ხალხის თანასწორობა – ჩვნი კორპორატიული კულტურის ფუნდამენტური პრინციპია. ჩვენ ვაძლევთ ჩვენს თანამშრომლებს შესაძლებლობებს, რომლებიც თანაბრად ხელმისაწვდომია ყველასთვის, საშუალებას ვაძლევთ მათ წვლილი შეიტანონ კომპანია „ჰენკელის“ საქმიანობაში, და გაიზარდონ როგორც პიროვნულად, ასევე პროფესიონალურად.

ეს პრინციპები ემყარება ჩვენი თანამშრომლობის საფუძველს როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მომწოდებლებთან, კონტრაგენტებთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას.

ჩვენ ვაყალიბებთ საპატიო და ინკლუზიურ კულტურას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენს „ჰენკელში“ ყოველდღიურად წარმოვაჩინოთ საუკეთესოდ ჩვენი თავი.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ჩვენი
რეპუტაცია

ათწლეულების განმავლობაში თავისი შესანიშნავი საქმიანი ქცევის წყალობით, „ჰენკელმა“ შეძლო შეექმნა მყარი საქმიანი რეპუტაცია. თითოეული თანამშრომლის ქცევა დიდ გავლენას ახდენს ჩვენს რეპუტაციაზე მსოფლიოში.

ჩვენ მივესალმებით **ჩვენი თანამშრომლების ნებისმიერ კერძო ინიციატივას** ასოციაციებში, კლუბებში და ა.შ., თუ კი ისინი არ სცდებიან კანონის ფარგლებს, პატივს სცემენ ჩვენს ფასეულობებს, არ აყენებენ საფრთხეს ჩვენს რეპუტაციას და არ აბრკოლებენ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

რაც შეეხება საკუთარი აზრის გამოთქმასა და **პირადი შეხედულებების გამოხატვას** ისეთ საჯარო ასპარეზზე, როგორიც არის სოციალური ქსელები, ჩვენმა თანამშრომლებმა მკაფიოდ უნდა განასხვავონ თავიანთი პირადი შეხედულებები და თავიანთი პოზიცია, როგორც „ჰენკელის“ წარმომადგენლებმა.

ჩვენ ვცდილობთ ყოველთვის ვიმოქმედოთ და მოვიქცეთ კომპანია „ჰენკელის“ მაღალი რეპუტაციის შესაბამისად, მისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ზოგჯერ დედა და მამა მეუბნებიან, რომ ეს არ გავაკეთო, მაგრამ მე მაინც ვაკეთებ. მაგრამ ხშირ შემთხვევაში დედა და მამა მართლები არიან. ერთხელ მუხლიც კი ვიტკინე.

ჯანმრთელობა & უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

ჩვენი თანამშრომლების დაცვა უკვე დიდი ხანია კომპანიის უმნიშვნელოვანეს ფასეულობებს შორისაა. ჩვენ გულდასმით ვაშენებთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების გამოვლენისა და აღმოფხვრის პროცესს.

ჩვენ აქტიურ როლს ვთამასობთ, რათა სამუშაო ადგილები გავხადოთ მოხერხებული ცხოვრებისა და მუშაობისათვის. ჩვენ ასევე მიმდევრები ვართ **მდგრადი და სოციალურად პასუხისმგებელი განვითარების** პრინციპების და, შესაბამისად, **ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების** უზრუნველყოფის.

ჩვენი ჯანმრთელობის დაცვისა და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები ვრცელდება ყველა ჩართულ პირზე, რომლებიც მუშაობენ ჩვენს ოფისებსა და საწარმოო ობიექტებში. ჩვენ ველით ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ისეთივე მაღალ სტანდარტებს ჩვენი მომწოდებლების, კონტრაქტორებისა და საქმიანი პარტნიორებისგან.

ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ჩვენი თანამშრომლებისთვის.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის" შიგნით გამოყენებისათვის

ჩვენი კომპანია

ჩვენი ბიზნესის აყვავების საფუძველია – კომპანიის აქტივები, რომელთაგან მთავარი ჩვენი რეპუტაციაა. ის აგებულია ნდობაზე, რომელიც ჩვენ დავიმსახურეთ თაობების განმავლობაში და რომელიც გვინდა შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ მომავალი თაობებისთვის. დაცვას საჭიროებს ასევე სხვა აქტივები, ისეთები როგორიცაა ჩვენი ინოვაციები, პროდუქცია და საწარმოო სიმძლავრეები. ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ ისინი.

კომპანიის აქტივები

ჩვენი **მატერიალური და არამატერიალური აქტივები** – ჩვენი წარსული და მომავლი წარმატების ქვაკუთხედია.
ჩვენ მათ ყოველთვის პასუხისმგებლობით ვუდგებით და ვიცავთ მათ.

კონფიდენციალური ინფორმაცია და ინტელექტუალური საკუთრება – ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელთა უკან დგანან ფინანსური რესურსების, დროისა და მუშაობის მნიშვნელოვანი ინვესტიციები და რომელიც უზრუნველყოფენ ბიზნესის მომავალ წარმატებას. მათი დაცვით ჩვენ ვიცავთ ჩვენს კონკურენტულ უპირატესობას.

„ჰენკელის“ საკუთრებაში არსებული ყველა ინფორმაცია, ასევე მისი ინტელექტუალური საკუთრება, გახლავთ კონფიდენციალური და არ ექვემდებარება გავრცელებას, მათი საჯაროდ გავრცელების ნებართვის გარეშე. ჩვენ არ ვამხელთ **სოციალურ ქსელებში** ან სხვაგვარად არანაირ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ჩვენ **საიმედოდ ვინახავთ კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველ** დოკუმენტებს. ჩვენ ვეპყრობით ჩვენი მომწოდებლების, კონტრაგენტებისა და სხვა საქმიანი პარტნიორების კონფიდენციალურ ინფორმაციას და ინტელექტუალურ საკუთრებას ისეთივე სიფრთხილითა და კეთილსინდისიერებით, როგორც საკუთარს და, თავის მხრივ, მათგანაც ველით იმავეს.

ჩვენ ვიცავთ კომპანიის ნებისმიერ ხელმისაწვდომ რესურსს დაკარგვის, დაზიანების, ქურდობისა და არასწორი გამოყენებისგან. ჩვენ პასუხისმგებლობის გრძნობით ვიყენებთ კომპანიის ქონება და არ მოვიხმართ მას პირადი მიზნებისათვის.

ჩვენ ვზრუნავთ „ჰენკელის“ ყველა აქცივზე და ვიცავთ მათ.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ფინანსური პატიოსნება

ფინანსური პატიოსნება – ნდობისა და პატივისცემის ქვაკუთხედია, რომელზეც ჩვენ ვართ აგებული, როგორც კომპანია. ჩვენი მთავარი ვალდებულებაა – ბიზნესის მართვის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა კორექტული და უტყუარი ფინანსური ანგარიშგებით.

კორექტული ბუღალტრული და ფინანსური ანგარიშგების უზრუნველსაყოფად, ჩვენ მკაცრად ვიცავთ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს. იგივე მიდგომა ვრცელდება საგადასახადო კანონებისა და წესების მიმართ. გარდა ამისა, ჩვენი მუშაობის განუყოფელი ნაწილია გარიგებებისა და აქტივობების ნამდვილი ბუნების დოკუმენტური ასახვა.

ჩვენ წარვადგენთ კორექტულ და უტყუარ ფინანსურ ინფორმაციას.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ მიგნით გამოყენებისათვის

ინტერესთა კონფლიქტი

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენ გვენდობოდნენ და იცოდნენ, რომ ჩვენ **ყოველთვის ვმართავთ ბიზნესს მაქსიმალურად პატიოსნად**. სწორედ ამიტომ ვუყენებთ მაღალ ეთიკურ მოთხოვნებს როგორც საკუთარ თავს, ასევე იმათ, ვისთანაც ვმუშაობთ, და ყოველთვის ვცდილობთ განვაცალკევოთ საქმიანი ინტერესები პირადი ინტერესებისაგან.

ამიტომ, თავიდან უნდა ავიცილოთ ისეთი სიტუაციები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტი პირად ინტერესებსა და „ჰენკელის“ ინტერესებს შორის. საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ჩვენ ყოველთვის უნდა ვიმოქმედოთ ობიექტურად და „ჰენკელის“ კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე, **რაიმე პირადი სარგებლის გამორიცხვით.**

ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა თავისთავად არ წარმოადგენს კორპორატიული ქცევის კოდექსის დარღვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ადგილი, როდესაც მას **არ ასაჯაროვებენ და სათანადოდ ვერ არეგულირებენ.** მოჩვენებითი ინტერესთა კონფლიქტი ისეთივე საშიშია, როგორც რეალურად არსებული. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების მოგვარების ეფექტური საშუალებაა ღია საუბარი ხაზის მენეჯერთან და HR მენეჯერთან, ან დაურწმუნებლობის შემთხვევაში შესაბამისი ჯგუფის ჩართვა.

ჩვენ ვცდილობთ ყოველთვის მოვიქცეთ და ვმოქმედოთ კომპანია „ჰენკელის“ ინტერესებიდან გამომდინარე.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ჩვენი კლიენტები, მომხმარებლები და მომწოდებლები

ჩვენი პროდუქტები ყოველდღიურად ეხება მილიონობით ადამიანს. ჩვენ ყველა ღონეს გამოვიყენებთ, რომ ის იყოს უსაფრთხო, ეკოლოგიურად მისაღები და მაღალი ხარისხის. ჩვენთვის ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ მასში ვდებთ მთელს ჩვენს ენერგიასა და სულს.იმავე შემართებითა და კეთილსინდისიერებით ვესადაგებით ციფრულ ტექნოლოგიებს და მუდმივად ვადაპტირებით მუდმივად ცვალებად სამყაროში. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია – მჭიდრო და სანდო ურთიერთობის უზრუნველყოფა ჩვენს კლიენტებთან, მომხმარებლებთან და მომწოდებლებთან, როგორც ჩვენი ბიზნესის საფუძველი ახლა და მომავალი თაობებისათვის.

სამართლიანი **კონკურენცია** და ბრძოლა კორუფციის **წინააღმდეგ**

როგორც გულის ძახილით პირველაღმომჩენები, ჩვენ მიგვაჩნია, რომ **სამართლიანი კონკურენცია** არის ინოვაციების მთავარი მამოძრავებელი ძალა და ის მიგვიყვანს პროდუქციის გაუმჯობესებამდე კლიენტებისა და მომხმარებლების საკეთილდღეოდ.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი პროდუქცია და მომსახურება მოგვცემს კონკურენტულ უპირატესობას. ჩვენ ვემხრობით სამართლიანი კონკურენციის პრინციპების და ჩვენს საქმიანობაში ვიცავთ **კონკურენციის ყველა მოქმედ კანონს**. ჩვენ არ ვეწევით საქმიანობას, რომელიც უკანონოდ, უსამართლოდ ან არაეთიკურად გამორიცხავს ან ზღუდავს კონკურენციას.

ჩვენთვის მიუღებელია ბიზნესში ნებისმიერი სახის მექრთამეობა ან კორუფცია, როგორც საჯარო მოხელეებთან მიმართებაში, ასევე კერძო სექტორში. ჩვენ არ ვუშვებთ რაიმე ზეგავლენას ჩვენს გადაწყვეტილებებზე, ისევე როგორც არასათანადო ბიზნეს უპირატესობის მოსაპოვებლად მესამე პირებზე ფულის ან რაიმე ფასეულის მიცემას, აღებას, შეთავაზებას ან დაპირებას.

ჩვენ ვემხრობით სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, რომელიც დაფუძნებულია ჩვენი პროდუქციის უპირატესობებზე.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

პროდუქციის უსაფრთხოება და ხარისხი

ჩვენი პროდუქცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. ათწლეულების განმავლობაში ჩვენ ვამყარებთ ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს ჩვენს კლიენტებთან და მომხმარებლებთან. სწორედ ამიტომ, ჩვენ არასოდეს ვუშვებთ კომპრომისებს, როდესაც საქმე ეხება როგორც პროდუქტების, ასევე პროცესების **უსაფრთხოებასა და ხარისხს.**

ჩვენ ვიცავთ მოთხოვნებს **ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების** დარგში და იმ რეგიონების მარკირების წესებს, სადაც ვმოღვაწეობთ. ჩვენ გამუდმებით ვაანალიზებთ და ვაფასებთ ჩვენს პროდუქტებს, რათა უზრუნველვყოთ მათი მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ჩვენ მივისწრაფვით უსაფრთხო და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებისაკენ, ყველა დაინტერესებული პირის საკეთილდღეოდ.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ციფრული
უსაფრთხოება და ეთიკა

ციფროვიზაცია სწრაფი სიჩქარით ცვლის ჩვენს სამყაროს. ჩვენი ბიზნესი სულ უფრო მეტად იმართება მონაცემების საფუძველზე და ეს გვაძლევს ბევრ ახალ შესაძლებლობას. ამასთან ერთად ჩნდება უამრავი პრობლემა და ეთიკური საკითხი. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ამ პრობლემების გადაჭრაზე ყველა დაინტერესებული მხარის გათვალისწინებით.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ვიზრუნოთ **მგრძნობიარე და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე** და მაქსიმალური სიფრთხილით მოვეკიდოთ მას. ჩვენ ვმოძრაობთ კიბერსივრცეში საჭირო სიფრთხილითა და ვიღებთ უსაფრთხოების საკმარის ზომებს. ჩვენ ასევე ვინარჩუნებთ მაღალ სტანდარტებს ჩვენი თანამშრომლების, საქმიანი პარტნიორებისა და მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ჩვენ ვიყენებთ **პერსონალურ მონაცემებს** კანონიერი და გამჭვირვალე მიზნებისათვის, მონაცემთა დაცვის მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

ხელოვნური ინტელექტი გვპირდება ახალ შესაძლებლობებს ჩვენ და ჩვენს საქმიანობაში მონაწილე პირებს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები გამჭვირვალეობის, პირთა უფლებების, ვისაც ეს ეხება, ანგარიშგებისა და კორექტულობის ფუნდამენტური პრინციპების დაცვით, კონტროლის მკაფიო მექანიზმების გამოყენებით, მასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად.

ჩვენ ვიყენებთ ბიზნესის მართვის ერთსა და იმავე პრინციპებს როგორც ციფრულ, ასევე რეალურ სამყაროში.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „პენკილის“ შიგნით გამოყენებისათვის

ჩვენი საზოგადოება

ჩვენი სამყაროსადმი პასუხისმგებლობის გაცნობიერება თავიდანვე იყო ჩადებული ჩვენი კომპანიის ღირებულებებში. ჩვენ თანაბრად პატივს ვცემთ ყველა ადამიანს და გარემოს და მიზნად ვისახავთ მათზე დადებითი ზემოქმედების მოხდენას. სწორედ ამიტომ, ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ, ვცდილობთ, წვლილი შევიტანოთ პლანეტის რეგენერაციასა და საზოგადოების კეთილდღეობაში.

ბავშვობაში მქონდა გატაცება ზვიგენების მიმართ. ახლა კი მე მიყვარს მთელი ბუნება და ყველა ცხოველი. ჩვენ უნდა დავიცვათ ისინი.

ადამიანის უფლებები, სხვა კანონები და სოციალური ნორმები

ადამიანის უფლებების დაცვა – ეთიკური ვალდებულებაა. ის ასევე გვაძლევს საშუალებას, დადებითი გავლენა მოვახდინოთ ადამიანების ცხოვრებაზე. სწორედ ამიტომ ჩვენ ყოველთვის ღრმად ვაფასებთ ყველა ადამიანის უფლებებსა და ღირსებას. ჩვენ ვეპყრობით ყველა ადამიანს ჩვენს საწარმოებსა და საზოგადოებებში, სადაც ვმოქმედებთ, სამართლიანად, თანასწორად და პატივისცემით. ამავდროულად, ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ მდგრადი ეთიკური საქმიანი პრაქტიკის დანერგვაზე ღირებულებების ჯაჭვში.

მრავალ ბაზარსა და მსოფლიოს ბევრ რეგიონში ყოფნის გამო, ჩვენ ვექვემდებარებით სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის კანონებსა და წესებს. **ჩვენ ვართ კომპანია მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობით;** ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხი იცავს ყველა მოქმედ კანონს, წესსა და რეგულაციას იმ საზოგადოებებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, ადგილობრივი ტრადიციებისა და სხვა სოციალური ნორმების პატივისცემით. კანონების დაცვა მოიცავს, კერძოდ, ვაჭრობის წესების დაცვას, როგორიცაა ექსპორტის კონტროლი და სანქციებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგოდ.

ჩვენ გახლავართ ადამიანის უფლებების დაცვის მიმდევრები, რაც ჩვენი ყველა ქმედების საფუძველია.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

ეკოლოგიური მდგრადობა

ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ გარემოს დაცვაზე მომავალი თაობებისათვის. ამიტომ, ჩვენი ყველა ქმედება და გადაწყვეტილება **ეფუძნება ეკოლოგიურად მისაღებ და პასუხისმგებლიან საქმიან პრაქტიკას.** ჩვენ მკაფიოდ გვაქვს გადაწყვეტილი **ჩვენი ბიზნესისა და ღირებულებათა ჯაჭვის სრულყოფა,** რათა ისინი უფრო მდგრადი გავხადოთ და საბოლოოდ ხელი შევუწყოთ პლანეტის აღდგენისათვის ბრძოლას.

ჩვენ მუდმივად **ვამცირებთ გარემოზე ზემოქმედებას** გადამუშავებადი მასალებისა და სერვისების გამოყენებით, ეკოლოგიაზე ზემოქმედების შემცირებითა და ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლობით გამოყენების უზრუნველყოფით. ჩვენი ძალისხმევა ასევე ვრცელდება მთეს ჩვენს ღირებულებათა ჯაჭვზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ პარტნიორებთან ერთად მდგრადი და ეკოლოგიურად პასუხისმგებლიანი პრაქტიკის დასაცავად.

ჩვენ ვართ გარემოს დაცვისა და პლანერის რეგენერაციის პრინციპების მიმდევრები.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

საზოგადოების ჩართულობა

„ჰენკელი“აკეთებს ფულად და მატერიალურ შემოწირულობებს, მხარს უჭერს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, გარემოს დაცვის ინიციატივებს, განათლებას, მეცნიერებას, ჯანდაცვას, სპორტს, ხელოვნებასა და კულტურას. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მკაფიო პროცედურები საქველმოქმედო დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, ასევე განვსაზღვრეთ სფეროები, სადაც საქველმოქმედო დახმარება გამოირიცხება, კერზოდ, ეს ეხება პოლიტიკურ პარტიებს, პოლიტიკოსებს ან პოლიტიკური თანამდებობის კანდიდატებს.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს თანამშრომლებს მონაწილეობა მიიღონ საქველმოქმედო ინიციატივებში, ამასთან ერთად მკაფიოდ გნვასხვავებთ კერძო და კორპორატიულ მონაწილეობას. ჩვენ მხარს ვუჭერთ **მოხალისეობასა და მონაწილეობას** საქველმოქმედო ან სოციალურ აქტივობებში ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში და სამუშაო საათების შემდეგ.

როგორც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის კომპანია, **საჯარო და პოლიტიკურ დისკუსიებში** მონაწილეობისას, ჩვენ ვმოქმედებთ გამჭვირვალედ და ფაქტებზე დაყრდნობით.

ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ კომპანია „ჰენკელის“ მიგნით გამოყენებისათვის

ჩვენ ვაყალიბებთ საპატიო და ინკლუზიურ კულტურას, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჩვენს „ჰენკელში“ ყოველდღიურად წარმოვაჩინოთ საუკეთესოდ ჩვენი თავი.

ჩვენ ვცდილობთ ყოველთვის ვიმოქმედოთ და მოვიქცეთ კომპანია „ჰენკელის“ მაღალი რეპუტაციის შესაბამისად, მისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს ჩვენი თანამშრომლებისთვის.

ჩვენ ვზრუნავთ „ჰენკელის“ ყველა აქტივზე და ვიცავთ მათ.

ჩვენ წარვადგენთ კორექტულ და უტყუარ ფინანსურ ინფორმაციას.

ჩვენ ვცდილობთ ყოველთვის მოვიქცეთ და ვმოქმედოთ კომპანია „ჰენკელის“ ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩვენ ვემხრობით სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, რომელიც დაფუძნებულია ჩვენი პროდუქციის უპირატესობებზე.

ჩვენ მივისწრაფვით უსაფრთხო და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიწოდებისაკენ, ყველა დაინტერესებული პირის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ვიყენებთ ბიზნესის მართვის ერთსა და იმავე პრინციპებს როგორც ციფრულ, ასევე რეალურ სამყაროში.

ჩვენ გახლავართ ადამიანის უფლებების დაცვის მიმდევრები, რაც ჩვენი ყველა ქმედების საფუძველია.

ჩვენ ვართ გარემოს დაცვისა და პლანერის რეგენერაციის პრინციპების მიმდევრები.

ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო.

როგორ შეგაქვთ თქვენ წვლილი

ერთხელ საბავშვო ბაღში ლიზას თმაზე დავეკიდე, ბენმა უთხრა ქალბატონ პლატს, ქალბატონმა პლატმა უთხრა დედას და მაშინ დედამ მითხრა, რომ ლიზასთვის ბოდიში უნდა მომეხადა და მე ბოდიში მოვუხადე.

თქვენი ხმა

ყოველთვის ადვილი არ არის ხმამაღლა ისაუბრო და გამოხატო შენი შეშფოთება ნებისმიერ სიტუაციასთან დაკავშირებით, მაგრამ „ჰენკელში“ ჩვენ ვავითარებთ კულტურას, სადაც ყველა თავს კომფორტულად გრძნობს ღიად საუბრისას. ეს არის ერთადერთი გზა თითოეული ჩვენგანისათვის, დავიცვათ ჩვენი ღირებულებები და მთლიანობა.

ნუ შეგეშინდებათ ლაპარაკის, თუ შეამჩნევთ, რომ რაღაც მიდის არასწორედ. არ აქვს მნიშვნელობა მართალი ხართ თუ არასწორი – თუ რამე გაწუხებთ, ნუ შეინახავთ საკუთარ თავში. ჩვენ ყველა შენიშვნას ვუდგებით სერიოზულად.

თქვენ შეგიძლიათ ამის განხილვა თქვნს უშუალო ხელმძღვანელთან. ან შეგიძლიათ მიმართოთ ადამიანური რესურსების განყოფილებას, შესაბამისობის გუნდს* ან, მაგალითად, დაუკავშირდეთ „ჰენკელის“ ანონიმურობის ხაზს (დეტალები შეგიძლიათ იხილოთ „ჰენკელის“ კორპორატიულ ქსელში და „ჰენკელის“ საიტზე).

როგორც კი შეატყობინებთ პრობლემის შესახებ, „ჰენკელი“ მიიღებს შესაბამის ზომებს პრობლემის გადასაჭრელად რაც შეიძლება მალე. ჩვენი კომპანიისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დევნა, და ჩვენ დავიცავთ ყველას, ვინც გულწრფელად აცნობებს პრობლემას, თუნდაც შიში აღმოჩნდეს მოჩვენებითი.

პრაქტიკული მაგალითები

დაწვრილებით

მხოლოდ „კომპანია „ჰენკელის“ შიგნით გამოყენებისათვის

*compliance.office@henkel.com

წინ ერთად

როლური მოდელები მომავალი თაობებისათვის

კორპორატიული ქცევის კოდექსი გვაძლევს მიმართულებას და ასრულებს კომპასის როლს ჩვენს გზაზე. მაგრამ როგორც ნამდვილმა პირველაღმომჩენებმა ამ გზაზე უნდა გავიაროთ ჩვენ თვითონ. სწორედ ამიტომ ჩვენ ყველამ უნდა ავიღოთ კოლექტიური პასუხისმგებლობა და ვიმოქმედოთ როგორც ნამდვილმა როლურმა მოდელებმა. „ჰენკელში“ ჩვენის ხელმძღვანელებს აკისრიათ კიდევ უფრო მეტი ვალდებულება, რათა მოახდინონ ყოველივე ამის უზრუნველყოფა. ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ შთაგონება ჩვენი ღირებულებებისა და პრინციპების ძლიერი მემკვიდრეობიდან და გავაცოცხლოთ ეს ქცევის კოდექსი ყოველდღიურად ჩვენი ქმედებებითა და ქცევებით. **მომავალი თაობა ამყარებს იმედებს ჩვენზე.**